შპს „ვარციხე 2005 "VARTSIKHE 2005" Ltd

საქართველო, წყალტუბო, გეგუთი I; ტელ: 995 431 298670
ელ.ფოსტა chancellery@vhpp.ge

Georgia, Region Tskaltubo, Geguti I; Tel: 995 431 298670
e-mail: chancellery@vhpp.ge

01. 03. 2023 წ.
№ 01-38

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ შპს „ვარციხე 2005"-ის ვარციხე ჰესების კასკადის ექსპლუატაციაზე გაცემულია 12/02/2019 N2-134 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 2010 წლის 28 მაისის 33' ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობის შესრულების მიზნით შპს „ვარციხე 2005", დაქირავებული კომპანიის (შპს „ბასიანი ჰიდრო") მეშვეობით ახორციელებს წყალსაცავის გავლენის ზონაში გეოდინამიკური პროცესების, მათ შორის მკვეთავი მდინარეების კალაპოტური პროცესების შესწავლას. შესწავლის შედეგად გამოტანილი დასკვნების საფუძველზე იგეგმება საინჟინრო ღონისძიებები, რომელიც საჭიროა გააქტიურებული გეოდინამიკური პროცესების დასარეგულირებლად.

2021 წლის IV კვარტლის გეგმიური მონიტორინგის მასალებით გამოიკვეთა, რომ წყალსაცავის მარჯვენა დამბაზე გააქტიურებულია გეოდინამიკური პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც წყალსაცავის დამბას, ასევე წყალმიმღების გამართულ ფუნქციონირებას.

აღნიშნულზე შპს „ბასიანი ჰიდროს" მიერ გაკეთებული დასკვნებისა და რკომენდაციების საფუძველზე შპს ვარციხე 2005-ის მიერ დამუშავდა ჰიდროკვანძის წყალსაცავში მდ.რიონის კალაპოტის დარეგულირების დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია.

პროექტი ითვალისწინებს ვარციხის წყალსაცავის მარჯვენა დამბისა და წყალმიმღების დაცვის მიზნით, წყალსაცავის ზედა ბიეფში, მდ. რიონის მარჯვენა შტოს მიმართულების შეცვლას ზღუდარისა და წყალსარინი არხის გაყვანის გზით.

რადგან ნაპირდამცავი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-2 დანართის 9.13. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ სკრინინგის განაცხადს.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და ელ. ვერსია;
Shp ფაილები.

ს.ს. „ვარციხის ეროვნული სააგენტო"
„02" 03 2023 წ.
№ 1714

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი
ზაალ უფლისაშვილი